საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 17 00955424

17/08/2017

გაზაფხულის სემესტრის სასტიპენდიო პროგრამა - „Multilingual education and CLIL (Content and Language Integrated Learning) Methodology“

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსდან მიმდინარე წლის 15 აგვისტოს შემოვიდა N01/30117 კორესპონდენცია (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგისტრაციის N953591), რომლის თანახმად, ტარტუს უნივერსიტეტის ნარვას კოლეჯი აცხადებს 2018 წლის სასტიპენდიო პროგრამას - “Multilingual education and CLIL (content and Language Integrated Learning) Methodology” გაზაფხულის გაცვლითი სემესტრისათვის. სტიპენდიები გათვლილია იმ ბელარუსი, ქართველი, მოლდოველი და უკრაინელი სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ მაგისტრატურის საფეხურზე განათლების, მასწავლებელთა გადამზადების ან ნებისმიერი მსგავსი მიმართულებით. სტიპენდიები სრულად ფინანსდება ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. 2018 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სულ გაიცემა 10 სტიპენდია.

აპლიკაციების წარდგენის ბოლო ვადაა **2017 წლის 30 სექტემბერი.**
დამატებითი ინფორმაცია სტიპენდიასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:
http://www.narva.ut.ee/en/semesterscholarships

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სტუდენტთა
სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
გობრონიძე ვალერიან

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220